სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 ივლისი 2025

N 378/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მერტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9.5100 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე, 190 200 მ³ კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“ წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9.5100 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე, 190 200 მ³ კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი (ვაზიანის კონგლომერატის გამოვლინება) მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9.5100 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 550-580 მეტრ სიმაღლეზე და წარმოდგენილია ერთ უბნად. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-502615.557 Y-4614545.970; X-502932.558 Y-4614604.257; X-503046.756 Y-4614470.173; X-503104.303 Y-4614383.522; X-502673.049 Y-4614305.819; მონაცემთა გადამოწმებით, წიაღითსარგებლობის ობიექტის მიმდებარედ გადის „ყაზახი-საგურამოს“ და „საგურამო-ნავთლუღის“ მაგისტრალური გაზსადენი, ასევე შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხული კ-17 კოლექტორი და გ-10-8 გამანაწილებელი, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ ვაზიანი, რომელიც სალიცენზიო ობიექტიდან დაშორებულია დაახლოებით 690 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 10 წელი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია 190 200 მ³ კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვება, რაც წელიწადში, საშუალოდ, შეადგენს 19 020 მ³-ს, თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე მეტი რესურსი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მდებარეობს გორაკ-ბორცვიანი რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც ნაწილობრივ ტექნოგენურად სახეცვლილია ნაყარისა და ღრმულების სახით. ტექტონიკური დარაიონების თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი განეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ზონის, სამხრეთული ქვეზონის, ასპინძა-თბილისის სექტორს. გამოვლინების რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ პალეოგენური, ნეოგენური (აღჩაგილი), მესამეული და მეოთხეული ასაკის ნალექები. აღჩაგილი ნალექები წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით და კონგლომერატებით, მეოთხეული – ქვიშით, ხრეშით, თიხნარით. სალიცენზიო ობიექტზე პროდუქტიული ფენა წარმოდგენილია კონგლომერატებით და პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით. მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი ფენობრივია, რომლის საშუალო სიმძლავრე 2 მეტრს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტზე დასინჯვა და საძიებო სამუშაოები არ ჩატარებულა, ასევე არ განხორციელებულა ჰიგიენურ-რადიაციული და ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური კვლევები. წიაღისეულის საბადოს მარაგები გამოთვლილია საშუალო არითმეტიკული მეთოდით. მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების შესაბამისად ($A+B+C_1+C_2$ და P), წიაღითსარგებლობის ობიექტზე პროგნოზული (P კატეგორიის) მარაგები 190 200 $მ^3$-ს შეადგენს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია სუსტად შეცემენტებული კონგლომერატებით, რომელიც, ზოგან დაფარულია თიხნარის თხელი ფენით. წიაღითსარგებლობის ობიექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია, დამუშავების ჰიდრო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია და გეოდინამიკური გართულებები მოსალოდნელი არ არის.

აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში აღწერილი არ არის კონგლომერატის ღია კარიერული წესით მოპოვების პროცესი, მოპოვების მეთოდი, გამოსაყენებელი ტექნიკა და მოპოვებული რესურსის გადაზიდვისთვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციები, განხილული არ არის კონგლომერატის ღია კარიერული წესით მოპოვებით მოსალოდნელი რისკები და საფრთხეები, ასევე არ არის შეფასებული გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა.

ვინაიდან, კონგლომერატის მოპოვება დაგეგმილია ღია კარიერული წესით, დაგეგმილი საქმიანობა დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რასაც ადგილი ექნება როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ისე, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, მოითხოვს სათანადო შესწავლას და შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის აღწერილი საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნება და არ არის გაანალიზებული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება, ასევე არ არის განხილული სალიცენზიო ობიექტის ღია კარიერული წესით დამუშავების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების დროებითი დასაწყობების, შემდგომი მართვის და საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სალიცენზიო ობიექტის მომიჯნავედ არსებულ ტერიტორიებზე (ჯამურად 28.15 ჰა) კონგლომერატის ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილებების გაცემის მიზნით, სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსალოდნელია გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დეტალურ შესწავლას და შეფასებას.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია არ ხვდება დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სკრინინგის განცხადება გადაეგზავნა სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“, შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ და შპს „საქართველოს მელიორაციას“. სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ საპასუხო კორესპონდენციის მიხედვით, სალიცენზიო ტერიტორია არ ექცევა

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის დაცვის არეალში და მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ დადებითი დასკვნის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ დადებითი დასკვნის საფუძველია შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში“ წარდგენილი უნდა იქნას „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის და ძეგლზე სავარაუდო ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ საპასუხო კორესპონდენციის მიხედვით, სალიცენზიო ტერიტორიის მინიმალური დაშორება „ყაზახი-საგურამოს“ მაგისტრალური გაზსადენიდან შეადგენს 122 მეტრს, ხოლო საგურამო-ნავთლუღის“ მაგისტრალური გაზსადენიდან – 165 მეტრს. შესაბამისად, „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილების თანახმად, მითითებული სალიცენზიო ტერიტორია მდებარეობს მაგისტრალური გაზსადენების უსაფრთხოების მესამე და საკონსულტაციო მეოთხე ზონაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით შენიშვნა არ გააჩნია, ხოლო კარიერამდე მისასვლელი გზით მაგისტრალური გაზსადენების გადაკვეთის შემთხვევაში, მაგისტრალურ გაზსადენებზე მექანიკური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, გადაკვეთის ადგილებში, სადაც იმოძრავებს მძიმე ავტოტრანსპორტი, წინასწარ უნდა მოეწყოს 20 სმ სისქის რკინაბეტონის ფილები, რომელთა თავზედაც დატვირთვების გადასანაწილებლად მოეწყობა მინიმუმ 0,5 მეტრი სიმაღლის მიწაყრილი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან“ შეთანხმებას.

შპს „საქართველოს მელიორაციას“ საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია კომპანიის კაპიტალში რიცხული კ-17 კოლექტორიდან დაშორებულია 324 მეტრით, ხოლო გ-10-8 გამანაწილებლიდან – 475 მეტრით, რაც აღემატება „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2003 წლის 30 ივნისის №19 ბრძანებით დადგენილი გასხვისების ზოლის სიგანეს და მასზე მოსაწყობი კარიერი ვერ მოახდენს უარყოფით ზემოქმედებას კოლექტორის უსაფრთხო ფუნქციონირებაზე. ამასთან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას არ უნდა მოხდეს კოლექტორის, მისი გასხვისების ზოლის და საექსპლუატაციო გზის დაზიანება, ხოლო დაზიანების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს დაზიანებული მონაკვეთები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“ წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მახასიათებლების, მოპოვების მეთოდისა და ხანგრძლივობის, ასევე კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, კონგლომერატის ღია კარიერული წესით მოპოვება დაკავშირებული იქნება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც მოითხოვს დეტალურ შესწავლას და

შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მერტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9.5100 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე, 190 200 $მ^3$ კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს“ და სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/378-21-4-202507231758